



ევროკავშირი
საქართველოსთვის



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მედიის ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 3 სექტემბერი, 2020 წელი

დრო: 13:00 – 15:00 საათი

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მაკა ჯახუა - ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღა“
2. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. მედიის განვითარების ფონდი - მარიამ პატარიძე
5. მარიამ გოგოსაშვილი - ქარტია
6. გია ხასია - ათინათი

განსახილველი საკითხები:

1. მედია სფეროში არსებული პრობლემების მიმოხილვა
2. Covid-19-ის გავლენა მედია სექტორზე
3. პოზიციის დოკუმენტის შემუშავებისთვის იდეების გაზიარება
4. სხვა საკითხები

მედიის ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, მაკა ჯახუამ.

თავდაპირველად მან ისაუბრა პოზიიის დოკუმენტის შემუშავების საკითხზე. სამუშაო ჯგუფის კოორდინატორებმა, თავიანთი მანდატის ფარგლებში, ჯგუფებთან და ქვეჯგუფებთან ერთად უნდა შეიმუშავონ მინიმუმ 3 პოზიციის დოკუმენტი, სამ სხვადასხვა საკითხზე. ჯგუფის კოორდინატორი მიიჩნევს, რომ ერთი დოკუმენტი უნდა შემუშავდეს მედიის საკითხებზე.

პოზიციის დოკუმენტისთვის, ქვეჯგუფის შეხვედრის ფარგლებში, მონაწილეებმა მოკლედ წარმოადგინეს მედიის სფეროში არსებული პრობლემური საკითხები. კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის ფონზე, მნიშვნელოვანია განხილული იყოს მედიის საკითხები. ქვეჯგუფის შეხვედრაზე განიხილეს რადიოების საკითხი, რომელიც უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. რადიო ფეროს წარმომადგენლების მხრიდან მომზადდა საკანონმდებლო წინადადების პროექტი, ასევე მომზადდა კანონის ცვლილების პროექტიც.

მნიშვნელოვანი პრობლემაა საარჩევნო კოდექსში, მედიის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა ნათია კუპრაშვილმა.

შეხვედრის დასასრულს, ქვეჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ მოხდება თითოეული ორგანიზაციის მიერ, მიმდინარე პერიოდში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარება, სადაც ნაჩვენებია ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი

ქეთევან ჭურაძე